European Bank for Reconstruction and Development

FIF – პროკრედიტ ბანკის MSME სესხი

მდებარეობა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	57427
ბიზნესის სექტორი:	საფინანსო ინსტიტუტები
შეტყობინების ტიპი:	კერძო
გარემოს დაცვის კატეგორია:	FI
დამტკიცების თარიღი:	9 ივნისი, 2026
სტატუსი:	ელოდება დამტკიცებას
ინგლისური ვერსიის გაზიარების თარიღი:	„ინფორმაციაზე წვდომის შესახებ დირექტივის 1.4.2 (iii) მუხლის თანახმად: „იმ პროექტებისთვის, რომლებიც დამტკიცებულია ბანკის მენეჯმენტის მიერ იმ შემთხვევებში, როდესაც დირექტორთა საბჭომ დამტკიცების უფლება მენეჯმენტს გადააბარა, PSD უნდა გამოქვეყნდეს ბანკის წევრ ქვეყანაში არაწინააღმდეგობის (no-objection) შეტყობინების პერიოდის დაწყებისთანავე, EBRD -ის დამფუძნებელი შეთანხმების 13 (iii) მუხლის შესაბამისად.“

პროექტის აღწერა

25 მილიონი ევრომდე (ექვივალენტი ლარში) ოდენობის პირველი რიგის არაუზრუნველყოფილი სესხი გამოიყოფა პროკრედიტ ბანკი საქართველოსთვის (PCBG) საქართველოში კერძო მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე (MSME) სესხების გაცემის ხელშეწყობისა და ადგილობრივ ვალუტაში დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით.

პროექტის მიზნები

შემოთავაზებული ტრანზაქცია ხელს შეუწყობს საქართველოში კონკურენტუნარიანობის გაზრდას პროკრედიტ ბანკის მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნეს კლიენტებთან თანამშრომლობის გაფართოებითა და კერძო სექტორისთვის ადგილობრივ ვალუტაში დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით. გარდა ამისა, პროექტი ხელს შეუწყობს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლას, რადგან, მოსალოდნელია, რომ დაფინანსებული ქვესესხების 20%, შესაბამისობაში იქნება EBRD-ის მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის (GET) მიდგომასთან.

გარდაქმნის ეფექტი

ETI ქულა: 60

პროექტი ხელს შეუწყობს ფინანსური შუამავლების ჩარჩოს (FIF) მიზნების მიღწევას, კონკურენტუნარიანი და მწვანე თვისებების ხელშეწყობით:

კონკურენტუნარიანი: პროექტი (i) ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობას ადგილობრივ ვალუტაში (LCY) დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდით და (ii) ხელს შეუწყობს საფინანსო ინსტიტუტების კონკურენტუნარიანობას MSME-ის სესხების გაცემასთან დაკავშირებული სტრატეგიის, პროდუქტების, პროცესებისა და მარკეტინგის ინოვაციის ხელშეწყობის მეშვეობით.

მწვანე: პროექტის მიზანი ასევე იქნება სესხების გაცემის მდგრადი პრაქტიკის ჩამოყალიბება, რაც მხარს შეუწყობს ფინანსური სისტემის მდგრადობას.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

პროკრედიტ ბანკი საქართველო

პროკრედიტ ბანკი საქართველო („PCBG“, „ბანკი“) განვითარებაზე ორიენტირებული საბანკო ჯგუფი საერთაშორისო „პროკრედიტ ჯგუფის“ წევრია, რომლის სათაო ოფისიც გერმანიაში, მაინის ფრანკფურტში მდებარეობს. ბანკი საქართველოს საბანკო სექტორში 1999 წლიდან მუშაობს და ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტის ფინანსურ საჭიროებებს ემსახურება. ბანკი დაახლოებით 4,100 ბიზნეს და 8,200 კერძო კლიენტს ემსახურება 6 ფილიალის, 5 მომსახურების წერტილისა და თვითმომსახურების ზონების მეშვეობით საქართველოს 5 მთავარ ქალაქში. 2026 წლის აპრილის ბოლოსთვის, ბანკი ქვეყნის 19 ბანკს შორის მე-6 ადგილზეა და სექტორის აქტივებისა და სესხების 2.11%-ს და დეპოზიტების 2.15%-ს ფლობს.

EBRD-ის დაფინანსების ჯამი

25,000,000.00 ევრო.

პროექტის მთლიანი ღირებულება

25,000,000.00 ევრო.

დამატებითი ფაქტორები

პროექტის ფარგლებში დამატებითი ფაქტორებია:

1. **დაფინანსების სტრუქტურა:** EBRD უზრუნველყოფს სესხის ვადიანობას, რაც ბაზრის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია და აუცილებელია პროექტის სტრუქტურირებისთვის.

2. **დაფინანსების სტრუქტურა:** EBRD უზრუნველყოფს დაფინანსებას ადგილობრივ ვალუტაში, პირობებით რომელიც მარტივად ხელმისაწვდომი არ არის ბაზარზე.

3. **ინოვაციური დაფინანსების სტრუქტურები და/ან ინსტრუმენტები:** EBRD უზრუნველყოფს ინოვაციურ მწვანე დაფინანსების ინსტრუმენტს, რომელიც აინტეგრირებს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა კლიმატის და გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობითი (ESG) სტანდარტები და/ან ითვალისწინებს კლიმატს და ESG რისკებს დაფინანსების სტრუქტურაში.

4. **სტანდარტების განსაზღვრა:** პროექტებისა და კლიენტების დახმარება უფრო მაღალი სტანდარტების მიღწევის პროცესში: კლიენტი მიისწრაფვის რომ დანერგოს/იყენებს EBRD-ის ცოდნა და გამოცდილება უფრო მაღალი ფინანსური სტანდარტების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, ფინანსური კოვენანტების მეშვეობით.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

მინიჭებული აქვს კატეგორია FI (ESP 2024). პროკრედიტ ბანკი EBRD-ის არსებული კლიენტია. შესაბამისი ქვეპროექტები ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებას და მწვანე ინვესტიციებს, რომლებიც, ყველაზე სავარაუდოდ, დაბალი ან საშუალო გარემოს დაცვისა და სოციალური რისკების შემცველია. გარემოს დაცვისა და სოციალური წინასწარი კვლევა ჩატარდა კლიენტის მიერ შევსებული გარემოს დაცვისა და სოციალური კითხვარის, უახლესი ყოველწლიური გარემოს დაცვისა და სოციალური ანგარიშის და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის განხილვის გზით. ძირითადი გარემოს დაცვისა და სოციალური რისკები დაკავშირებულია დაფინანსებული ქვესესხების შედეგად წარმოშობილ პოტენციურ ზემოქმედებასთან, მათ შორის მიწოდების ჯაჭვთან, შრომითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებთან. პროკრედიტ ბანკს აქვს ადეკვატური სისტემები ადამიანური რესურსების მართვისა და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითადი საკითხების მოსაგვარებლად. ბანკი ვებსაიტზე აქვეყნებს თავის ყოველწლიურ ESG ანგარიშს.

კლიენტის საქმიანობა შეესაბამება რელევანტურ საერთაშორისო ჩარჩოებს, როგორიცაა პასუხისმგებლიანი საბანკო საქმიანობის პრინციპები და „ნახშირბად-ნეიტრალობის საბანკო ალიანსი“ (Net-Zero Banking Alliance), რაც ასახავს მის უფრო ფართო ინსტიტუციურ ვალდებულებას გარემოს დაცვისა და სოციალური მდგრადობის მიმართ.

კლიენტმა, საჭიროებისამებრ, უნდა გააძლიეროს თავისი გარემოს დაცვისა და სოციალური მართვის სისტემა (ESM), რათა ეფექტურად შეაფასოს, მართოს და მონიტორინგი გაუწიოს გარემოს დაცვისა და სოციალურ რისკებსა და ზემოქმედებას EBRD-ის გარემოს დაცვისა და სოციალური მოთხოვნების (ESR) 2, 4 და 9 პუნქტების შესაბამისად, ESP 2024-ის ფარგლებში. ეს მოიცავს EBRD-ის გარემოს დაცვისა და სოციალური გამორიცხვების სიის დაცვას და ფინანსური ინსტიტუტებისთვის EBRD-ის შესაბამის სახელმძღვანელო მითითებებთან შესაბამისობას. კლიენტის მიერ დაფინანსებულმა ქვემსესხებლებმა უნდა დაიცვან ეროვნული გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და შრომის კანონმდებლობა. პროკრედიტ ბანკი საქართველო EBRD-ს წარუდგენს ყოველწლიურ გარემოს დაცვისა და სოციალურ ანგარიშებს, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ESMS-ის განხორციელება, EBRD-ის მოთხოვნებთან შესაბამისობა, ქვეპროექტების სკრინინგის შედეგები და ნებისმიერი მნიშვნელოვანი გარემოს დაცვისა და სოციალური ინციდენტი.

თუ EBRD-ის დაფინანსება გამოიყენება განახლებადი ენერგიის ქვეპროექტებისთვის, ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ EBRD-ის განახლებადი ენერგიის გარემოს დაცვისა და სოციალური შესაბამისობის კრიტერიუმებს, ასევე სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა მოთხოვნას.

ტექნიკური თანამშრომლობა და საგრანტო დაფინანსება

სესხი ნაწილობრივ ისარგებლებს პორტფელზე დაფუძნებული პირველი დანაკარგის რისკის დაფარვით, EBRD-ის სასარგებლოდ, მცირე და საშუალო საწარმოების ადგილობრივ ვალუტაში დაფინანსების პროგრამის (SME LCY Programme) ფარგლებში, რასაც უზრუნველყოფს მცირე და საშუალო საწარმოების ადგილობრივი ვალუტის რისკის გაზიარების სპეციალური ფონდი.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

სს პროკრედიტ ბანკი, საქართველო
geo.info@procredit-group.com
(+995 32) 220 2222 https://www.procreditbank.ge/en

გარდაქმნის ეფექტი

დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის გარდაქმნის ეფექტის გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია აქ.

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:
ტელ: +44 20 7338 7168
ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ EBRD Procurement.
ტელ.: +44 20 7338 6794
ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

ESP-ითა და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR-ები) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP და PR-ები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ, ასევე, შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხის წამოჭრის, საჩივრების მიღებისა და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია ESP-ში.

ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტარდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში ტარდება კომპლექსური ტექნიკური კვლევა იმისათვის, რომ პროექტებმა არ შექმნან პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკი ბანკისათვის. ბანკი თვლის, რომ პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება პროექტის შეფასების ეტაპზე, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიებაზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ნებისმიერმა ადამიანმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე compliance@ebrd.com. თითოეულ ასეთ შემთხვევაში, OCCO დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს.
კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით.

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან, ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით, ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD–ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს (IPAM).

IPAM დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, IPAM–ისა და მის მანდატის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა წარადგინოთ მოთხოვნა განსახილველად; ან დაუკავშირდით IPAM-ს ელ.ფოსტით ipam@ebrd.com, რომ მიიღოთ ინსტრუქცია და ინფორმაცია IPAM–ისა და მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.